ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N5

20. 03. 2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთა წარდგინება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).
2. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ თამარი აბრამიშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.
3. სასწავლო-აკადემიურ პროგრამებში ცვლილებების დამტკიცება (საგნების შეტანა და ამოღება).
4. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ფარგლებში „სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის" დაარსების შესახებ.
5. მიმდინარე საკითხები

*დღის წესრიგის გარეშე:* ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ერთჯერადად მდივნის არჩევა.
სხდომის თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება სხდომას და საბჭოს მიმართა ერთჯერადად მდივნის არჩევის წინადადებით. დასახელდა პროფ. ლ. სურმანიძის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს: ერთხმად.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე: დეკანი, პროფ. თ. გაგოშიძე

მდივანი: პროფ. ლ. სურმანიძე

ფაკულტეტის საბჭოს  წევრები:

პროფესორები: მ. წერეთელი, ქ. ჭკუასელი; ასოც./პროფესორები: მ. მელიქიშვილი, გ. გორომიძე, ა. ქიტიაშვილი, ლ. არუთინოვი, მ. მესტვირიშვილი, ხ. მარწყვიშვილი, ი. პეტრიაშვილი, რ. სანაძე; ასისტ./პროფესორები: თ.ლოდია, ნ. ლაბარტყავა, ი. გედევანიშვილი.

*სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:*

პაატა ჯოლბორდი
ეკა ტაბატაძე
ნათია კაპანაძე
ანა გელაშვილი
დიანა ზეიადაძე
სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 21 წევრი.

განიხილეს:

1. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა წარდგინება.

პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მიმართა წინადადებით, რომ საჭიროა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების გაფორმება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შემდეგი სახით:

1.1. მიენიჭოთ **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: **ფსიქოლოგია**

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბასილიძე ცოტნე
2. ბადაშვილი ბორის
3. ბაყაშვილი ანა
4. ბეკურაშვილი დარეჯან
5. გიგაური გიორგი
6. გობრონიძე ლელა
7. დიდებელი გვანცა
8. ზაბახიძე ელენე
9. თუთბერიძე ეკატერინე
10. კოკაია სალომე
11. კუხალეიშვილი გრიგოლი
12. ლაღაძე მონიკა
13. მდინარაძე ქეთევან
14. მელიქიშვილი მარიამ
15. მენაბდიშვილი ნინო
16. მჭედლიშვილი ელენე
17. რამიშვილი სოფიო
18. როსებიშვილი მარიამი
19. უკლება მაიმო
20. ცუხიშვილი ანა
21. ხაჭაპურიძე მარიამ

კენჭი უყარეს:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მიენიჭოთ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ზემოჩამოთვლილ კურსდამთავრებულებს.

1.2. მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

**სწავლების ძირითადი დარგი: დაწყებითი განათლების პედაგოგიკა**

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

1. ზარათაშვილი სოფიკო
2. ოკინაშვილი ქეთევანი

**კენჭი უყარეს:**

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:**

მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ზემოჩამოთვლილ კურსდამთავრებულებს.

1.3. მიენიჭოს **განათლების მეცნიერებების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულს:

**სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები"**
**დიპლომი ჩვეულებრივი**

1. გომელაური ლაშა -

**კენჭი უყარეს:**

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:**
მიენიჭოს **განათლების მეცნიერებების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს **დიპლომი ჩვეულებრივი** 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს, ლაშა გომელაურს.

1.4. მიენიჭოს **სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულს:

**სამაგისტრო პროგრამა „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია"**
დიპლომი ჩვეულებრივი

1. ფერაძე ანნა -

**კენჭი უყარეს:**

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

**დაადგინეს:**

მიენიჭოს **სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს **დიპლომი ჩვეულებრივი** 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს, ანნა ფერაძეს.

1.5. მიენიჭოს **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულს:

სამაგისტრო პროგრამა: "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია"

დიპლომი წარჩინების

1. ჭავჭანიძე ნანა

კენჭი უყარეს:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მიენიჭოს **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს **წარჩინების დიპლომი** 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს, ნანა ჭავჭანიძეს.

1.6. მიენიჭოთ **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია"

დიპლომი წარჩინების

1. გიორგაძე სოფიო -

დიპლომი ჩვეულებრივი

2. მაისურაძე ანნა -

კენჭი უყარეს:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

მიენიჭოს **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აღნიშნულ კურსდამთავრებულებს და მიეცეთ: **წარჩინების დიპლომი** - სოფიო გიორგაძეს და **დიპლომი ჩვეულებრივი** - ანნა მაისურაძეს.

1.7. მიენიჭოს **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულს:

სამაგისტრო პროგრამა: „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება"

დიპლომი ჩვეულებრივი

ხაჩიძე ანა

კენჭი უყარეს:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს **დიპლომი ჩვეულებრივი** 2017/2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს, ანა ხაჩიძეს.

**2. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ თამარი აბრამიშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.**

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, თამარ ხიდაშელმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (2383/10, 12.02.2018), რომელშიც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი გვთხოვს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის **2005 წლის კურსდამთავრებულ თამარი აბრამიშვილისთვის (გვარის შეცვლამდე მჭედლიშვილი) მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.**
2005 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა **თამარი აბრამიშვილმა** განცხადებით მიმართა თსუ-ს რექტორს, რომელშიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ **თამარი აბრამიშვილი** 1998 წელს ჩაირიცხა (ბრძ. №4/595, 29.08. 1998 წ. ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.
2005 წელს (ბრძ.№4/709, $1, 04.08.2005 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულ თამარი აბრამიშვილს მიენიჭა ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.
**ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით თამარი აბრამიშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით ზოგადი ფსიქოლოგია.**
ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებაში და ოქმში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა, ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის, თამარი აბრამიშვილისთვის, კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.
შესაბამისად, საჭიროა შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ზოგადი ფსიქოლოგია.
ამგვარად, **კენჭისყრაზე** დგება საკითხი: შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი№3-ში და დაფიქსირდეს კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ზოგადი ფსიქოლოგია.

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

შეიტანეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი№3-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სპეციალობით ზოგადი ფსიქოლოგია.

3. სასწავლო-აკადემიურ პროგრამებში ცვლილებების დამტკიცება (საგნების შეტანა და ამოღება).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ პროფესორებმა მას მიმართეს წერილობით, სასწავლო-აკადემიურ პროგრამებში ახალი არჩევითი საგნების შეტანის, აგრეთვე საგნის ამოღების თხოვნით და საბჭოს წარუდგინა ამ საგანთა ჩამონათვალი.

*ახალი არჩევითი საგნების შეტანა:*

"სოციალური სამართლიანობის თეორიები" (ანასტასია ქიტიაშვილი, ნაზი ფარსადანაშვილი) - სამაგისტრო პროგრამებში: "იურიდიული ფსიქოლოგია" და "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია";

"თერაპიული პროცესის წარმართვისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი პრაქტიკული კურსი" (ნათია კუჭუხიძე, ლიკა ბუწაშვილი)- სამაგისტრო პროგრამაში "ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და კონსულტირება"

"ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია" (ანასტასია ქიტიაშვილი) - საბაკალავრო პროგრამაში "ფსიქოლოგია".

*საგნის ამოღება:*

"კვლევის მეთოდები" - სადოქტორო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია" სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

შესაბამის პროგრამებში შეტანილ იქნეს არჩევით კურსებად: *მაგისტრატურაში* - "სოციალური სამართლიანობის თეორიები", "თერაპიული პროცესის წარმართვისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი პრაქტიკული კურსი"; *ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში* - "ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია".

4. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის მიერ „სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის" დაარსების შესახებ.

ასოც.პროფ.-მა ი. პეტრიაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის (CSCI) დაარსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ცენტრი გაიხსნა ერაზმუს + პროექტის - „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში (CURE)" - ფარგლებში და საბჭოს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ცენტრის მიზნების, ამოცანების, პარტნიორებისა და რეგულაციების შესახებ. მან საჭოს, ასევე, წარუდგინა ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის სხდომის ოქმი (ოქმი # 4, 13.09. 2017) და ცენტრის ერთელი აღწერილობა.

აზრი გამოთქვეს:

პროფ.-მა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ასეთი ცენტრის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალური და სამოქალაქო აქტივობის გაზრდას როგორც პროფესორებში, ისე სტუდენტებში და გამოთქვა იმედი, რომ კურიკულუმშიც აისახება ასეთი აქტივობის შედეგები.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

საბჭო მხარს უჭერს „სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის" დაარსებას.

5. მიმდინარე. ასოც. პროფ. გ. გოროშიძის წინადადებების განხილვა.

ასოც. პროფ. გ. გოროშიძის აზრით, საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საბჭოს წევრებს უნდა დაეგზავნოთ 1 კვირით ადრე. ასოც.პროფ.-მა მ. მელიქიშვილმა საბჭოს შეახსენა, რომ ფაკულტეტის დებულების თანახმად, საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საბჭოს წევრებს უნდა დაეგზავნოთ 3 დღით ადრე, რაც, ჩვეულებრივ, ხორციელდება. ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ ასევე წამოაყენა წინადადება, ინსტიტუტების შესაბამისად, სასწავლო საგნების რაოდენობის კვოტების შემოღების შესახებ. საბჭოს წევრებმა მას განუმარტეს, რომ პროფესორებისთვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვა ახალი არჩევითი კურსების წარდგენასთან დაკავშირებით, ინსტიტუტების შესაბამისად სასწავლო საგნების რაოდენობის კვოტების შემოღება კი პროფესორთა აკადემიურ თავისუფლებას შეზღუდავს. ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ ცნობად მიიღო აღნიშნული განმარტებები.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე /

სხდომის მდივანი: პროფესორი
ლალი სურმანიძე /